

გია ვოდსკი საყდრისზე საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს არ უჭერს

უმრავლესობის წევრი გია ვოდსკი საყდრისთან დაკავშირებით პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს არ უჭერს. მისი თქმით, საყდრისის თემა იმდენად გაეხვა პოლიტიკურ სპეკულაციებში, რომ კომისიის ფორმატში ჯანსაღ მსჯელობას ადგილი არ ექნება.

„დროთა განმავლობაში საზოგადოებას ექნება საშუალება დაინახოს რეალურად რასთან გვაქვს საქმე. ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოიხსნება და ამისთვის არა მგონია, რომ საგამოძიებო კომისია იქნეს აუცილებელი. ეს არ არის პოლიტიკური კეკლუცობა. ეს არის ფიქრი იმაზე, თუ რა სჭირდება ქვეყანას, სახელმწიფოს. არსებობს მეცნიერთა სერიოზული ჯგუფები, რომელთაც განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ. არსებობს სამთავრობო სტრუქტურები, რომელთაც ხედვნიფებად ამ მოსაზრებების შეკრება, გაანალიზება და კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღება“, – აცხადებს ვოდსკი.

„ეარ აზიას“ შავი ყუთების ძებნას განაგრძობენ

ამინდის გაუმჯობესებასთან ერთად, მყვინთავებმა „ეარ აზიას“ მარაიზიური დაინერის „შავი ყუთების“ ძებნა განაგრძეს. ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

„შავი ყუთები“ იავანის ზღვის ფსკერზე მდებარე თვითმფრინავის უკანა ნაწილია. შეგახსენებთ, რომ მანამდე იმ ადგილას დამსხვრეული დაინერის კიდევ 5 მსხვირი ობიექტი აღმოაჩინეს. გარდა ამისა, მაშველებმა ასევე 4 გვამს მიაკვრიეს. ამრიგად, ნაპოვნი

დაღუპულთა ადამიანების საერთო რიცხვი 34-ს შეადგენს. მაშვერების ინფორმაციით, მგზავრების ძირითადი ნაწილი ბღვის ფსკერზე მდებარე რაინერის კორპუსშია ჩარჩენილი.

2015 წრიდან პედაგოგებისთვის ახარი წესები ამოქმედდება

მასწავრებელს დისციპრინური გადაცლომის შემთხვევაში, შესაძლოა დისციპრინური სახდელი დაეკისროს. “მასწავრებელთა დისციპრინური წარმოების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათრებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება “საკანონმდებლო მაცნეში” გასური წრის ბოლოს, 31 დეკემბერს გამოქვეყნდა.

ჩადენილი დისციპრინური გადაცლომის სიმძიმის ხარისხის გათვარისწინებით დისციპრინური სახდერებია: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური, სამსახურიდან გათავისუფრება. დისციპრინური სახდერის სხვა სახე კი შესაძრებერია განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესით.

“მასწავრებელთა დისციპრინური წარმოების წესის” თანახმად, მასწავრებრის დისციპრინური გადაცლომაა: “მასწავრებრის პროფესიური ეთიკის კოდექსის დარღვევა; საჯარო სკოლის შინაგანაწესის ან/და სკოლის წესდების შეუსრუდებლობა ან არაჯეროვანი შესრუდება; სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე ადკოჰოლის, ნარკოტიკური ან სხვა ტოქსიკური საშუარებების მიღება, ასევე სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება; სამსახურში გამოცხადება არაფხიზერ მდგომარეობაში, ასევე ნარკოტიკური ან ტოქსიკური საშუარებების ზემოქმედების ქვეში; სკოლის ტერიტორიაზე/სასკოლო დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა. ამასთან, მასწავრებრის სხვა დისციპრინური გადაცლომები შესაძრებერია განისაზღვროს სკოლის შინაგანაწესით.

ბრძანების თანახმად, ერთი დისციპრინური გადაცლომისთვის შეიძრება მასწავრებელს დაეკისროს დისციპრინური სახდერის მხოლოდ ერთი სახე.

დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ დაუშვებელია სასტიკი ან ისეთი დისციპლინური სახდელის დაკისრება, რომელიც პირის პატივსა და ღირსებას დაზარალებს. ასევე, დაუშვებელია სკოლის მიერ მასწავლებლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრება იმ ქმედებისთვის, რომელიც მან სასკოლო დროისგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩაიდინა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სკოლას აქვს დასაბუთებული ინტერესი. დისციპლინური გადაცდომების განხილვაზე უფლებამოსილია დისციპლინური კომიტეტი. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი კი შეიძლება იყოს მოსწავლის, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის, შესაბამის სკოლაში დასაქმებული პირის, აგრეთვე, იმ პირის წერილობითი მიმართვა ან ინფორმაცია, რომლის სამსახურებრივ მოვალეობასაც სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს; ასევე წარმოების დაწყების საფუძველი შეიძლება იყოს დისციპლინური გადაცდომის ფაქტის აღმოჩენა ან სხვა გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს, რომ ადგილი აქვს მასწავლებლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტს, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, მასწავლებლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენის შესახებ, რომელიც შეიძლება დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს.

მასწავლებელს უფლება აქვს დისციპლინური დევნისას ისარგებლოს დუმილის უფლებით. თუმცა, დუმილის უფლება არ ათავისუფლებს მასწავლებელს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

ბრძანების თანახმად, დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში მასწავლებლის მიმართ არ გამოიყენება წახადისების ფორმები. გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს სკოლის დირექტორის დასაბუთებული გადაწყვეტილებით.

დისციპლინური სახდელის მოქმედების მაქსიმალური ვადა ერთი წელია. ვადის გასვლის შემდგომ ან ვადაზე აღრე მოხსნის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ მასწავლებელს არ ჰქონია დაკისრებული დისციპლინური სახდელი.

მასწავლებლის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება დაიწყოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3 წლისა.

რეგულაციები ამოქმედდება

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი მოამზადა, პროექტში სპეციალური ჩანაწერი მაწონზეც გაკეთდა.

რეგულაციის მიხედვით, პროდუქტი, რომელიც მაწვნის დასახელებით გაიყიდება, მხოლოდ ნატურალური რძით და საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილი, ადგილობრივი რძემწავა ბაქტერიების შტამებისაგან შემდგარი დედოთი უნდა დამზადდეს.

რეგლამენტი ხერმონწერიდან 6 თვეში შევა ძალაში. ამის შემდეგ რძის გადამამაუშავებელი კომპანიები მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ პროდუქტს მაწვნის დასახელებით ვეღარ გაყიდიან. თუმცა, მაწვნის ადგილობრივი რძემწავა ბაქტერიების შტამებისაგან შემდგარი დედოთი წარმოების მოთხოვნა უფრო გვიან დაკანონდება.

რეგლამენტის მიხედვით, რძის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებს ადგილობრივი დედოთი მაწვნის წარმოების მოთხოვნების შესასრულებლად 2-დან 5-წლამდე დრო მიეცემათ. კონკრეტური ვადა წლის ბოლომდე დაზუსტდება.

ონდრან თამაშები არ აიკრძალება – გიორგი კვირიკაშვილი

ონდრან თამაშები მომავალი წლიდან არ აიკრძალება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დღეს მთავრობის სხდომის დაწყებამდე განუცხადა.

კვირიკაშვილის განცხადებით აკრძავასთან დაკავშირებული ინიციატივა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არ მომზადებულა.

“ონდრან თამაშების საერთო აკრძავასთან დაკავშირებით, თუ ასეთ

ტიპის კანონპროექტი არსებობს, ეს ეკონომიკის სამინისტროში არ მომზადებულა. საუბარი მიმდინარეობდა მხოლოდ იმაზე, რომ თამაშები გარკვეულ ასაკამდე შეიზღუდოს და გაკონტროლდეს”, – განაცხადა კვირიკაშვილმა.

წინამურში იღია ჭავჭავაძის რეაბილიტირებული ძეგრი გაიხსნა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორმა, გიორგი ამაშუკველმა, წინამურში იღია ჭავჭავაძის რეაბილიტირებული ძეგრი გაიხსნა.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 500 ათასი ლარი შეადგინა. მთავრობის დავარებით სამუშაოები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა. აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის პროექტი ძეგრის ავტორს, არქიტექტორ თეიმურაზ ბოჭორიშვილს ეკუთვნის.

მორაღური და ესთეტიკური მნიშვნელობის გარდა, იღია ჭავჭავაძის ძეგრის რეაბილიტაცია საგურისხმო მოვლენაა მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობისთვის, რადგან ეს ხეღს შეუწყობს მხარის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. მომავარ წეღს განხორციელდება ძეგრის მიმღებარე ტერიტორიის გამწვანებაც“, – განაცხადეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. რეაბილიტირებული ძეგრის გახნას ესწრებოდნენ: საქართველოს კურღურისა და ძეგრთა დაცვის მინისტრი მიხეიდ გიორგაძე; მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ნუგზარ ყიფიანი; ძეგრის არქიტექტორი თეიმურაზ ბოჭორიშვიდი; სასურდერო პირები, მწერღები, სხვა ოფიციაღური პერსონები, სტუდენტები.

საყოველთაო დაზღვევა ჯანდაცვის სამინისტროს ყველაზე წარმატებულ პროექტად დასახედდა

ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ, „ექსპოზორჯიაში“ 2014 წლის შემაჯამებელი შეხვედრა გამართა და სამინისტროს რეფორმებზე ისაუბრა. მისი თქმით, უწყების მიერ განხორციელებულ პროექტებს შორის განსაკუთრებით წარმატებული იყო საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტებისთვის შემუშავებული პროგრამა, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე გაკეთებული სწორი აქცენტები, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ხერმისაწვდომი სამედიცინო დახმარება სოფლებში.

“ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამებს შორის ერთ-ერთი მთავარი იყო საყოველთაო დაზღვევის პროგრამა. ეს იყო ყველაზე მაშტაბური, რადგან მან მოიცვა საქართველოს მოსახლეობის ნახევარი. ამ ადამიანების უმეტესობა მანამდე ვერ სარგებლობდა დაზღვევით. ბიუჯეტის მხრივაც ეს ერთ-ერთი უმსხვირესი პროექტი იყო”, - განაცხადა სერგეენკომ.

წლის შემაჯამებელ შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავჯდომარე დიმიტრი ხუნდაძეც. მან განაცხადა, რომ დღეს ჯანდაცვის სფეროში მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს იყო ორი წლის წინ.

“ქურიაში ადამიანები აღარ იღუპებიან. თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე კი პასუხისმგებლობა აიღო სახელმწიფომ. სოციალური პროგრამების ხარჯზე ამ კუთხით მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვიდრე ეს იყო ორი წლის წინ, თუმცა სამუშაო ახლაც ძალიან ბევრია”, - განაცხადა ხუნდაძემ.

შეხვედრას დაესწრნენ საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები და სხვადასხვა კვინიკის ექიმები.

კოოპერატივებს სასოფლო – სამეურნეო ტექნიკა გადაეცა

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოსთან კოორდინაციით, ჩეხურმა არასამთავრობო ორგანიზაციამ PIN (People in Need) I რაუნდის საგრანტო კონკურსში გამარჯვებულ იმერეთისა და რაჭის რეგიონში შექმნილ 5 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს 5 ერთეული ტრაქტორი გადასცა.

ღონისძიებას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გოჩა ცოფურაშვიდი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშვილაძე დაესწრნენ.

“ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის“ (ENPARD) პროექტის ფარგლებში, PIN-ის კონსორციუმის ხელშეწყობით, პირველი რაუნდის საგრანტო კონკურსის შედეგად, 9 საუკეთესო კოოპერატივი შეირჩა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, პირველ ეტაპზე ტრაქტორები გადაეცა შემდეგ კოოპერატივებს: მეღვინეობის კოოპერატივი „ჯვარისა“ – ამბროლაური; მეღვინეობის კოოპერატივი „თერჯოლის ღვინო“-თერჯოლა; მეღვინეობის კოოპერატივი „მეღვინეობა საზანო“ – თერჯოლა; ვაზის სანერგე მეურნეობის, სიმიდის წარმოების კოოპერატივი „მშვილდი +“ – ბაღდათი; მეფრინველეობის კოოპერატივი „საწირე“ – ტყიბული.

პირველი რაუნდში გამარჯვებული 9 კოოპერატივის ქვე-გრანტებზე მოთხოვნილმა თანხამ დაახლოებით 550 000 ლარი შეადგინა. ტექნიკური გრანტის სრული ღირებულების 25 % კოოპერატივებისგან მოთხოვნილი თანადაფინანსება არის.

ტრაქტორების გადაცემის ღონისძიებას პროექტში ჩართული მხარეები – სოფლის მეურნეობის სამინისტროს, იმერეთის და რაჭის სამხარეო ადმინისტრაციის, ENPARD-ის კონსორციუმის წარმომადგენლები დაესწრნენ.

თავდაცვის უწყება უკრაინაში ქართვედი მებრძოლის დაღუპვაზე პასუხისმგებლობას ყოფილ ხედისუფლებას აკისრებს

თავდაცვის სამინისტრო უკრაინაში საქართველოს მოქალაქე ადელსანდრე გრიგორაშვილის დაღუპვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს: “თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უკრაინაში საქართველოს მოქალაქე ადელსანდრე გრიგორაშვილის დაღუპვის გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ადელსანდრე გრიგორაშვილის დაღუპვის გამო, სრული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყოფილი ხედისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს მოუწოდებენ, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. თავდაცვის სამინისტროს მხრიდან არაერთხელ აღინიშნა, რომ მსგავსი მოწოდებები არის უპასუხისმგებლო და ემსახურება საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი და მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების შეცდომაში შეყვანას. აქვე აღვნიშნავთ, რომ ადელსანდრე გრიგორაშვილი, 2007-2008 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 2008 წლის დეკემბრიდან, კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველზე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალებიდან.”- აღნიშნულია განცხადებაში.

თავდაცვის სამინისტრო მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს, არ აყვეს პროვოკაციას და სხვადასხვა შემოთავაზების სანაცვლოდ არ ჩაიგდოს საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ადელსანდრე გრიგორაშვილი, 2007-2008 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 2008 წლის დეკემბრიდან, კონტრაქტის შეწყვეტის საფუძველზე დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალებიდან.”- აღნიშნულია განცხადებაში.

